ქ. თბილისი, კონსტანტინე ჩახავას ქუჩა, №2
ნაკვ. №01.13.02.004.062-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში

თბილისი
2023

შ. პ. ს. “თბილინვესტპროექტი “

ქ. თბილისი, კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩა, №2
ნაკვ. №01.13.02.004.062-ში მრავალბინიანი
საცხოვრებელი სახლის
პროექტი

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების
ტექნიკური ანგარიში

შ.პ.ს.
“თბილინვესტპროექტი”-ს
დირექტორი

თ. ხევცურიანი

გეოლოგიის და საინჟინრო-გეოლოგიის
მაგისტრი, ინჟინერ-გეოლოგი

გ. სადრაძე

სარჩევი

1. შესავალი ---------- 2
2. ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, რელიეფი, გეომორფოლოგია და ჰიდროგრაფია ---------- 3
3. გეოლოგიური აგებულება და ჰიდრგეოლოგიური პირობები ---------- 4
4. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები ---------- 5
5. დასკვნები და რეკომენდაციები ---------- 8

დანართები

ტექნიკური დავალება ---------- 1 ფ.
ჭაბურღილების განლაგების სქემა ---------- 1 ფ
საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი ---------- 2 ფ.
ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტი ---------- 3 ფ
გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ჯამური უწყისი ---------- 1 ფ
გრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები ---------- 6 ფ
გრუნტის გრანულაციის შედეგები ---------- 6 ფ
ქანის ერთღერძა კუმშვაზე გამოცდის შედეგები ---------- 5 ფ
წყლის ქიმიური ანალიზი ---------- 3 ფ
სტატისტიკური დამუშავების შედეგები ---------- 2 ფ

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში

ქ. თბილისი, კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩა, №2 ნაკვ. №01.13.02.004.062-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი

1. შესავალი

დაკვეთის საფუძველზე, შ.პ.ს. "თბილინვესტპროექტი"-ს ინჟინერ-გეოლოგთა ჯგუფმა ჩაატარა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ქ. თბილისში, დიდომში, კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩაზე. კვლევა-ძიების მიზანს წარმოადგენს დასაპროექტებელი ნაგებობის დაფუძნებისათვის გამოყოფილი მოედნის გეოლოგიური აგებულების, ჰიდროგეოლოგიური პირობებისა და გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა. დავალების თანახმად, აღნიშნულ მოედანზე უნდა აშენდეს ცხრასართულიანი შენობა, ორი სარდაფის სართულით. შენობის ტიპი კარკასულ-მონოლითურია, საძირკვლის სავარაუდო ტიპი – დადგინდება საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩატარების შემდეგ, ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – II.

დასაპროექტებელი ნაგებობის დაფუძნების პირობების განსაზღვრისათვის ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: მოძიებულია და დასკვნაში გამოყენებულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევები "ქ. თბილისის გეოლოგიური საფრთხეების შეფასების ანგარიში", გ. ჯაფარიძის "თბილისის საინჟინრო გეოლოგია". უბნის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით დათვალიერებულია მიმდებარე ტერიტორია, ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად და ნიმუშების ასაღებად, სამშენებლო მოედანზე დამკვეთთან შეთანხმებით გაყვანილია 3 ჭაბურღილი, საერთო სიღრმით 36,0 გრძ/მ. ბურღვა მიმდინარეობდა საბურღი აგრეგატების УРБ – А-2А-ის გამოყენებით, მშრალად, მექანიკურ-სვეტური მეთოდით, საცავი მილების გამოყენებით, კერნის უწყვეტი ამოღებით. გრუნტებიდან აღებულია ნიმუშები, რომლებზეც ლაბორატორიული კვლევები შესრულდა შ.პ.ს. "თბილინვესტპროექტი"-ს გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. გამონამუშევრების გეგმური და სიმაღლითი მიბმა განხორციელდა დამკვეთის მიერ გადმოცემული ტოპო-გეგმის

მიხედვით. საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ, ჭაბურღილები ამოივსო ნაბურღი მასალით.

საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე შედგენილია წინამდებარე დასკვნა. კვლევები ჩატარებულია და დასკვნა შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლი წესების და ნორმები) მოთხოვნების შესაბამისად – ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის), ს.ნ. და წ. 2.02.01-83 (პნ 02.01-08) შენობების და ნაგებობების ფუძეები, ს.ნ. და წ. (პნ 01.01-09) სნ და წ 2.02.02-85 (ჰიდროტექნიკური ნაგებობები), სეისმომედეგი მშენებლობა, ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები) ს.ნ. და წ. 2.03.11-85 (სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისაგან დაცვა) სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტები: კლასიფიკაცია). საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები შესრულდა 2023 წლის თებერვალში.

2. ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, რელიეფი, გეომორფოლოგია და ჰიდროგრაფია

საკვლევი მოედანი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ქ. თბილისში, დიღომში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ნაწილში. ტერიტორიის საერთო კლიმატური პირობები ზომიერად კონტინენტურია, საქართველოს ტერიტორიის სამშენებლო კლიმატური დარაიონების სქემის მიხედვით განეკუთვნება IIIგ კლიმატურ ქვერაიონს. წლის საშუალო ტემპერატურა 12,3°C, წლის აბსოლუტური მინიმუმი –23°C, აბსოლუტური მაქსიმუმი 40°C. წლის საშუალო ფარდობითი ტენიანობა – 66%, ყველაზე ცივი თვის საშუალო ფარდობითი ტენიანობა – 60%, ყველაზე ცხელი თვის საშუალო ფარდობითი ტენიანობა – 40%. ნალექების წლიური რაოდენობა 560 მმ-ს შეადგენს, ხოლო დღეღამური მაქსიმუმი –– 147 მმ. თოვლის საფარის წონა 0,50 კპა, თოვლის საფარის დღეთა რიცხვი –– 15. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 5 წელიწადში ერთხელ –– 0,38 კპა, ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ –– 0,60 კპა. ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1, 5, 10, 15 და 20 წელიწადში ერთხელ –– შესაბამისად 21, 26, 29, 30, და 31 მ/წმ. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე: –– 0 სმ

საქართველოს სეისმური საშიშროების რუკის მიხედვით, ქ. თბილისის მაკროსეისმური ინტენსივობა MSK64 სკალის მიხედვით 8 ბალს შეადგენს, ხოლო სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A - 0,17.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, გამოკვლეული უბანი მდებარეობს მდ. მტკვირს მარჯვენა სანაპიროზე, მდინარიდან დაშორებულია 600-700 მ-ით და წარმოადგენს მდინარე მტკვრის I ტერასას. ტერიტორიის რელიეფი ჰორიზონტული ზედაპირით არის წარმოდგენილი. სამშენებლო მოედანს ჩრდილოეთიდან მშენებარე ნაგებობა ესაზღვრება, რომლის ქვაბული 5-6 მ-ის სიღრმემდეა ამოღებული, სამხრეთიდან კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩა, აღმოსავლეთიდან მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ხოლო დასავლეთიდან რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი. სამშენებლო მოედანზე მდებარეობდა გასართობი ცენტრი, რომლის დემონტაჟი ამჟამად მიმდინარეობს. მოედანი მოედნის აბსოლუტური ნიშნულები 426,0 - 426,2 მ–ის ფარგლებში მერყეობს.

ტერიტორიის მთავარ ჰიდროგრაფიულ ელემენტს წარმოადგენს მდ. მტკვარი. მდინარის კალაპოტის სიგანე ძირითადად 100-200 მ-ია, ნაპირები მკვეთრად გამოხატულია, მტკვრის სიღრმე 0,3-2,2 მ-ია, დინების სიჩქარე 0,4-2,7 მ/წმ. კვების ხასიათით მდ. მტკვარი მიეკუთვნება შერეულ ––– თოვლისა და წვიმის წყლით კვების ტიპს. მყინვარეული და გრუნტის წყლები მდინარის კვებაში მეორეხარისხოვან როლს ასრულებენ. მდინარის რეჟიმი ცვალებადია: ზამთარში ის წყალმარჩხია, ხოლო, გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში ხასიათდება მაღალი წყალუხვობით. მდ. მტკვრის ხარჯი გაზაფხულის წყალუხვობისას მაქსიმუმს აღწევს და შეადგენს 212 კუბ.მ/წმ-ს, ხოლო მინიმალური – ზამთარში და შეადგენს 79,6 კუბ.მ/წმ-ს. ქიმიური შედგენილობით მდ. მტკვრის წყალი ხასიათდება ტუტემიწა მეტალების ნახშირორჟანგა და გოგირდწყალბადა მარილების შემცველობით. წყლის სიხისტე თბილისთან შეადგენს 26,02 მგ/ექვ. სამშენებლო მოედანზე მდინარის ეროზიული მოქმედება გამორიცხულია.

3. გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები

საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დანაწილების მიხედვით, (შ. ადამია 2004) ტერიტორია განთავსებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-რღვევითი მთიანი სარტყლის ჩრდილო-აღმოსავლურ დაბოლოებაზე, კერძოდ დიღმის სინკლინის სამხრეთ ფრთაზე. ტერიტორია აგებულია ოლიგოცენ-ქვედა მიოცენური ასაკის (მაიკოპის სერია) ზღვიურ-მოლასური ნალექებით. ოლიგოცენური ნალექები წარმოდგენილია ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობით. ქანები ზედაპირთან ახლოს ქანები ძლიერ გამოფიტული და დანაპრალიანებულია, სიღრმეში მათი გამოფიტვის ხარისხი მცირდება და ქანის სიმტკიცე მატულობს. ქვიშაქვები წვრილმარცვლოვანია, თიხურ-კარბონატულ ცემენტზე, ტექსტურა

უწესრიგო. არგილიტები მუქი-ყავისფერია, თხელშრეებრივი, ტექსტურა შრეებრივია. მიოცენური ასაკის ნალექები კი წარმოდგენილნი არიან კარბონატული და ფიქლისებრი თიხებით, ქვიშაქვების და მერგელების შუაშრეებით. ეს ძირითადი ქანები ზემოდან გადაფარულია მეოთხეული ასაკის მდინარე მტკვრის ალუვიური ხრეშით და დელუვიურ-პროლუვიური ნალექებით, თიხურ-თიხნარული გრუნტებით. ზემოდან ამ ნალექებზე განლაგებულია ნაყარი გრუნტის ფენა.

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით, ტერიტორია განთავსებულია თბილისის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყალწნევიანი სისტემის ფარგლებში. გრუნტის წყალი გავრცელებულია მდინარე მტკვრის ალუვიური ნალექების და კლდოვანი ქანის კონტაქტზე.

4. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულით, ს.ნ, და წ. 1.02.07.-87-ის დანართი 10-ის მიხედვით, უბანი განეკუთვნება II (საშუალო) სირთულის საინჟინრო-გეოლოგიურ კატეგორიას. სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური სურათის მისაღებად, აღნიშნულ მოედანზე გაყვანილია სამი ჭაბურღილი, მაქსიმალური სიღრმით 12,0 გრძ/მ კლდოვანი ქანში 3,4-3,5 მ-ის ჩაღრმავებით. ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების ანალიზის საფუძველზე, მოედანზე გამოყოფილია ოთხი ფენა. ქვემოთ მოყვანილია ამ ფენების დახასიათება.

ფენა №1 ნაყარი გრუნტი – tQ_{IV} – ბეტონის ფენა, თიხნარის მასა ღორღის და ბეტონის ნამტვრევების ჩანართებით, შემკვრივებული. სამშენებლო მოედანზე გავრცელებულია პირველი ფენის სახით. ფენის სიმძლავრე 2,0-3,5 მ-ია. ფენა ფუძის გრუნტებად არ განიხილება, ამიტომ, იგი არ დასინჯულა.

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 24-ბ-III კატეგორიას.

ფენა №2 თიხა – pdQ_{IV} – მუქი-ყავისფერი, ხვინჭის ჩანართებით, ნახევრადმყარი კონსისტენციის. ფენა სამშენებლო მოედანზე მეორე ფენის სახით არის გავრცელებული, 2,0-6,4 მ-ის ფარგლებში. ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 6 ნიმუშით, რომლებზეც ჩატარდა ძვრაზე გამოცდები, საფეხურებრივი დატვირთვით 0,5 კგძ/სმ^2 3,0 კგ-მდე. შესწავლილია გრუნტის ფიზიკური თვისებები: სიმკვრივე, ტენიანობა, პლასტიურობის ზღვრები. გამოთვლილია ფორიანობა, ფორიანობის კოეფიციენტი, დენადობის მაჩვენებელი. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული

მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 1-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში.

ცხრ. 1

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ნორმატიული მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	1,86
2	ჩონჩხის სიმკვრივე	ρδ	გ/სმ^3	1,47
3	მინერალური ნაწილაკების სიმკვრივე	ρs	გ/სმ^3	2,74
4	ბუნებრივი ტენიანობა	W	ერთ. ნაწ	0,267
5	ფორიანობა	n	%	47
6	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ. ნაწ.	0,870
7	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	W_L	ერთ. ნაწ.	0,542
8	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე	Wp	ერთ. ნაწ.	0,253
9	პლასტიურობის რიცხვი	Ip	ერთ. ნაწ.	28,9
10	დენადობის მაჩვენებელი	I_L	ერთ. ნაწ.	0,05
11	ტენიანობის ხარისხი	Sr	ერთ. ნაწ.	0,84
12	შიგა ხახუნის კუთხე	φ	გრად.	18°
13	ხვედრითი შეჭიდულობა	C	კპა	48
14	პუასონის კოეფიციენტი	μ		0,42
15	დეფორმაციის მოდული	E	კგძ/სმ^2	180
16	პირობითი საანგარიშო წინაღობა	R_0	კგძ/სმ^2	2,7

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 8-გ-III კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

ფენა №3 ხრეში – aQ_{IV}– ქვიშის შემავსებლით 30%-მდე, ტენიანი, 7,5 მ-დან წყალშემცველი. ფენის სიმძლავრე 2,2-2,4 მ-ია. დასინჯულია 6 ნიმუშით. ფენა შედგება მსხვილი და საშუალო ზომის კენჭებისაგან, კენჭების მასალა წარმოდგენილია დანალექი და ვულკანოგენური ქანების ნატეხებით. მასალა კარგად დამუშავებული და დახარისხებულია, კენჭებს აქვთ მომრგვალებული ფორმა. საცრული მეთოდით შესწავლილია გრუნტის გრანულომეტრიული შედგენილობა. შედეგები მოცემულია ცხრილ 2-ში, ხოლო

ლაბორატორიული კვლევების მასალები წარმოდგენილია დანართებში ცხრილების და გრაფიკების სახით.

ცხრ. 2

ფრაქციის ზომა, მმ	>40.0	40.0-20.0	20.0-10.0	10.0-5.0	5.0-2.0	2.0-1.0	1.0-0.5	0.5-0.25	0.25-0.1	0.1-005	0.05-0.01	0.01-0.005	<0.005
საშუალო % რაოდ.	15.1	20.1	21.3	7.8	3.4	3.4	4.1	5.2	5.5	4.6	3.0	2.3	4.4
ჯამური % რაოდ	15.1	35.2	56.4	64.2	67.6	70.9	75.0	80.3	85.7	90.3	93.3	95.6	100.0

ცხრილში მოცემული სიდიდეების მიხედვით 10 მმ-ზე მეტი ზომის ფრაქციები გრუნტის მასაში აღემატება 50%-ს, რაც პნ 02.01-08-ის დანართი 1-ის, ცხრილი №2-ის მიხედვით კლასიფიცირდება როგორც ხრეშოვანი გრუნტი. გრუნტის მასაში ქვიშის შემავსებელი 30%-ზე მეტია, ამიტომ, გრუნტის მახასიათებლები აიღება შემავსებლის მახასიათებლების გათვალისწინებით. მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილ 3-ში.

ცხრ. 3

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ნორმატიული მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	2.03
2	შიგა ხახუნის კუთხე	φ	გრად.	38^0
3	ხვედრითი შეჭიდულობა	C	კგძ/სმ^2	0,02
4	დეფორმაციის მოდული	E	კგძ/სმ^2	400
5	პუასონის კოეფიციენტი	μ	ერთ. ნაწ.	0,27
6	პირობითი საანგარიშო წინაღობა	R_0	კგძ/სმ^2	6,0

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 6-ე-IV კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

ფენა №4 ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა – P3 – მონაცრისფრო-მოლურჯო ფერის, თიხურ-კარბონატულ ცემენტზე, მცირე სიმტკიცის. ქვიშაქვები და არგილიტები დასტებად არიან განლაგებულნი. ზედაპირთან ახლოს ქანები ძლიერ გამოფიტული და დანაპრალიანებულია, სიღრმეში მათი გამოფიტვის ხარისხი მცირდება და ქანის სიმტკიცე მატულობს. ქვიშაქვები წვრილმარცვლოვანია, თიხურ-კარბონატულ ცემენტზე, ტექსტურა უწესრიგო. არგილიტები მუქი-ყავისფერია, თხელშრეებრივი, ტექსტურა შრეებრივია. ექვს

ნიმუშებზე ჩატარდა გამოცდები სიმტკიცეზე ერთღერძა კუმშვისას, როგორც ბუნებრივ, ასევე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში. გრუნტის თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 4-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების მასალები და შედეგები წარმოდგენილია დანართებში ცხრილების სახით.

ცხრ. 4

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ნორმატიული. მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	2,38
2	ტენიანობა	W	%	8,0
3	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე წყალში	Rc	მპა	13,7
4	დეფორმაციის მოდული	E	მპა	2000
5	პუასონის კოეფიციენტი	μ		0,25

სახ.სტანდარტი 25100-82-ის მიხედვით გრუნტი მიეკუთვნება დანალექ, შეცემენტებულ, კლდოვან, დარბილებად, მცირე სიმტკიცის ქანებს.

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 28-6-VI კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

სამშენებლო მოედანზე გრუნტის წყალი დაფიქსირდა 8,2-8,4 მ-ის სიღრმიდან, დონის დამყარება 7,5-7,7 მ. წყალი ძლიერ აგრესიულია სახ.სტანდარტის 10178-76 პორტლანტცემენტზე დამზადებული წყალშეუღწევადი W_4, W_6 მარკის ბეტონის მიმართ, საშუალოდ აგრესიულია W_8 მარკის ბეტონების მიმართ. არ არის აგრესიული არმატურის მიმართ რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მუდმივი დაძირვის პირობებში, საშუალოდ აგრესიულია პერიოდული დასველების დროს.

5. დასკვნები და რეკომენდაციები

1. ქ. თბილისი, კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩა, №2, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი №01.13.02.004.062 მდებარეობს ჰორიზონტალ რეიეფზე. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევების “ქ, თბილისის გეოლოგიური საფრთხეების შეფასების ანგარიში”-ს გეოლოგიური საფრთხეების ზონირების

მიხედვით, სამშენებლო მოედანი განთავსებულია დაბალი გეოლოგიური საფრთხის ზონაში. მიწის ნაკვეთი მდგრადია, ამჟამად, მასზე და მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, ზვავი, ღვარცოფი, კარსტი და სხვ.) განვითარებული არ არის

2. სამშენებლო მოედანზე გამოიყო სამი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (ნაყარი გრუნტის ფენა მხედველობაში არ მიიღება, ფენა მოჭრას ექვემდებარება): ამ სგე-ების ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია ცხრილ 5-ში. ცხრ. 5

სგე	ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები	სიმკვრივე ρ, გ/სმ³	ხვედრითი მეჭიდულობა C კგძ/სმ²	შიგა ხახუნის კუთხე φ გრად	დეფორმაციის მოდული E მპა	საანგარიშო წინაღობა R_0, კგძ/სმ²	სიმტკიცე ერთღერძა კუმშ. წყალში R_c	პუასონის კოეფიციენტი μ	გრუნტის დასახელება
I	A_n	1.85	0.48	18°	18	2.7		0.42	თიხა ნახევრადმყარი
	α =0,85	1.84	0.45	18°					
	α =0,95	1.84	0.43	17°					
II	A_n	2.03	0.02	38^0	40	6.0		0.27	ხრეში ქვიშის შემავსებლით
	α =0,85	2.02	0.02	38^0					
	α =0,95	2.01	0.01	33^0					
III	A_n	2.38			2000		13.7	0.25	ქვიშაქვა მცირე სიმტკიცის
	α =0,85	2.37					13.3		
	α =0,95	2.36					13.1		

შენიშვნა: ალბათობის საიმედოობა გრუნტის საანგარიშო მახასიათებლების განსაზღვრისას მიიღება – ფუძის ზიდვის უნარზე გაანგარიშებისას α=0.95, დეფორმაციაზე გაანგარიშებისას α=0.85.

3. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გათვალისწინებით და გამომდინარე იქიდან, რომ საძირკვლის ჩაღრმავება გათვალისწინებულია ორი სარდაფის სართულით, ფუძის გრუნტად შეიძლება გამოყენებულ იქნას II და III საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი. საძირკვლის ტიპი – II სგე-ს გამოყენების შემთხვევაში – რკინა-ბეტონის მონოლითური ფილა, ხოლო III სგე-ს გამოყენების შემთხვევაში – ხიმინჯოვანი საძირკვლები.

4. სამშენებლო მოედანზე გრუნტის წყალი დაფიქსირდა 8,2-8,4 მ-ის სიღრმიდან, დონის დამყარება 7,5-7,7 მ. წყალი ძლიერი სულფატური აგრესიულობით ხასიათდება,

შესაბამისად საძირკვლის გრუნტის წყალთან შეხების შემთხვევაში გამოყენებულ იქნას სულფატომედეგ ცემენტზე დამზადებული მარკის ბეტონი.

5. ქვაბულის მოწყობის დროს, სადრენაჟო და წყალქცევითი სამუშაოების ჩატარებისთვის გათვალისწინებულ იქნეს ს.ნ. და წ. 3.02.01-87 თავი 2-ის მოთხოვნები, წყლის მოდენა ქვაბულის 1 მ2-ზე მიღებული იქნეს 0.01 ლ/წმ.
6. ქვაბულის გახსნის დროს ატმოსფერული ზემოქმედების გამო, გრუნტის თვისებები იცვლება. ხდება გრუნტის დასველება ატმოსფერული ნალექებით, მზის და ქარის ზემოქმედებით ინტენსიურად მიმდინარეობს გამოფიტვის პროცესი, რაც იწვევს ქვაბულის ფერდოს ადგილობრივი მდგრადობის დარღვევას. ამ პროცესის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ქვაბულის ფერდოს მიეცეს ქანობი, რომლის დახრაც განისაზღვრება სნ და წ III-4-80-ის თავი 9-ის ცხრილი №4-ის მოთხოვნების საფუძველზე, რომლის მიხედვით, 3 მეტრამდე ქვაბულის ფერდოს დახრა ნაყარი გრუნტებისთვის მიიღება 1:1 ანუ 45°; ხოლო 5 მეტრამდე ქვაბულის ფერდოს დახრა თიხებისთვის მიიღება 1:0,50 ანუ 63°. ქვაბულის ფერდოს ვერტიკალური ქანობის შემთხვევაში, როდესაც ქვაბული 5 მ-ზე მეტია, აუცილებელია მისი ფერდოების გამაგრება შპუნტების, ხიმინჯების, საყრდენი კედლების ან სხვა მეთოდების გამოყენებით.
7. ქ. თბილისი - "სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01.-09)-ის სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით, განეკუთვნება 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონას, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A - 0,17; ხოლო იმავე კრებულის ცხრილი №1-ის მიხედვით, მოედნის ამგები გრუნტები, სეისმური თვისებებით მიეკუთვნებიან II კატეგორიას.

გეოლოგიის და საინჟინრო-გეოლოგიის
მაგისტრი, ინჟინერ-გეოლოგი: გ. სადრაძე

ტექნიკური დავალება
საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

1. დამკვეთი დამკვეთის მიერ
(ორგანიზაციის დასახელება)

2. ობიექტის დასახელება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

3. ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩა, №2 ნაკვ.№01.13.02.004.062

4. მშენებლობის ხასიათი: ახალი მშენებლობა
(ახალი მშენებლობა, რეკონსტრუქცია, გაფართოება)

5. დაპროექტების სტადია: სამუშაო პროექტი
(წინასაპროექტო სტადია, პროექტი, სამუშაო პროექტი)

6. ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით: II
(კნ 03.01-09, დანართი 3-ის მიხედვით)

7. შენობის სართულიანობა: მიწისზედა – 9
მიწისქვეშა – 2

8. პირველი სართულის იატაკის საპროექტო ნიშნული: ±0,00 = 426,0

9. სარდაფის ჩაღრმავება: -6,00

10. შენობის ტიპი: კარკასულ-მონოლითური

11. საძირკვლის სავარაუდო ტიპი: დადგინდება საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებით

12. მოსალოდნელი საპროექტო დატვირთვა საძირკვლის ფუძეზე: 10 000 კნ

დანართი: ტოპოგეგმა შენობის კონტურით მასშ. 1:500

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა:


გეგმა 0.00
ჭაბ. №3
426,0
ჭაბ. №2
426,1
ჭაბ. №1
426,2
33,0
27,0
12
11
10
9
8
7
6
5
4
3
2
1
±0,00
425,28
424.8
424.80
424.65
425.01
424.72
424.90



პირობითი ნიშნები

- ნაყარი გრუნტი: ბეტონის ფენა, თიხნარის მასა ღორღის და ბეტონის ნამტვრევების ჩანართებით, შემკვრივებული.
- ① თიხა მუქი-ყავისფერი, ხვინჭის ჩანართებით, ნახევრადმყარი.
- ② ხრეში ქვიშის შემავსებლით 30%-მდე, ტენიანი 7,5 მ-დან წყალშემცველი.
- ③ ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, მონაცრისფრო-მოლურჯო, ფერის მცირე სიმტკიცის.
- ლითოლოგიური საზღვარი
- 8,3(417,7) გრუნტის წყლის გამოჩენის დონე
- 7,5(418,5) გრუნტის წყლის დამყარების დონე

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	ქ. თბილისი, კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩა, №2 ნაკვ. №01.13.02.004.062-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი			შ.პ.ს. "თბილინვესტპროექტი"
დირექტორი	ი. ხევცურიანი					
გეოლოგი	გ. სადრაძე		საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი I-I			
შეასრულა	გ. სადრაძე		ფურცელი	ფურცლები	მასშტაბი	
		პროექტი	2	3	1:100	



პირობითი ნიშნები

ნაყარი გრუნტი: ბეტონის ფენა, თიხნარის მასა ღორღის და ბეტონის ნამტვრევების ჩანართებით, შემკვრივებული.

1 — თიხა მუქი-ყავისფერი, ხვინჭის ჩანართებით, ნახევრადმყარი.

2 — ხრეში ქვიშის შემავსებლით 30%-მდე, ტენიანი 7,5 მ-დან წყალშემცველი.

3 — ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, მონაცრისფრო-მოლურჯო, ფერის მცირე სიმტკიცის.

ლითოლოგიური საზღვარი

8,3(417,7) — გრუნტის წყლის გამოჩენის დონე

7,5(418,5) — გრუნტის წყლის დამყარების დონე

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	ქ. თბილისი, კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩა, №2 ნაკვ. №01.13.02.004.062-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი			შ.პ.ს. "თბილინვესტპროექტი"
დირექტორი	თ. ხევცურიანი					
გეოლოგი	გ. სადრაძე		საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი II-II			
შეასრულა	გ. სადრაძე		ფურცელი	ფურცლები	მასშტაბი	
		პროექტი	3	3	1:100	

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტი

ჭაბ №1 მასშ: 1:25 აბს. ნიშნ 426.2

მეტრაჟი	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	ძრის სავების სიღრმე მ	ძრის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამოჩენა მ	ღონის დაწყება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1 2 3	tQIV		3.5	3.5	422.7	ნაყარი გრუნტი: ბეტონის ფენა, ღორღის და ბეტონის ნამტვრევების ჩანართებით, შემკვრივებული.			
4 5 6	pdQIV		6.3	2.8	419.9	თიხა მუქი-ყავისფერი, ხვინჭის ჩანართებით, ნახევრადმყარი.			4.2 5.5
7 8	aQIV		8.5	2.2	418.6 418.0 417.7	ხრეში ქვიშის შემავსებლით 30%-მდე, ტენიანი 7,5 მ-დან წყალშემცველი.	8.2	7.6	6.8 7.8
9 10 11 12	P3		12.0	3.5	414.2	ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, მონაცრისფრო-მოლურჯო, ფერის მცირე სიმტკიცის.			9.4 11.0

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტი

ჭაბ №2 მასშ: 1:25 აბს. ნიშნ 426.1

მეტრაჟი	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	ძრის სავების სიღრმე მ	ძრის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამოჩენა მ	ღონის დაწყება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1 2	tQIV		2.0	2.0	424.1	ნაყარი გრუნტი: ბეტონის ფენა, ღორღის და ბეტონის ნამტვრევების ჩანართებით, შემკვრივებული.			
3 4 5 6	pdQIV		6.4	4.4	419.7	თიხა მუქი-ყავისფერი, ხვინჭის ჩანართებით, ნახევრადმყარი.			2.8 6.0
7 8	aQIV		8.6	2.2	418.4 417.7 417.5	ხრეში ქვიშის შემავსებლით 30%-მდე, ტენიანი 7,5 მ-დან წყალშემცველი.	8.4	7.7	7.0 8.2
9 10 11 12	P3		12.0	3.4	414.1	ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, მონაცრისფრო-მოლურჯო, ფერის მცირე სიმტკიცის.			9.2 11.3

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტი

ჭაბ №3 | მასშ: 1:25 | აბს. ნიშნ 426.0

მეტრაჟი	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	შრის საგების სიღრმე მ	შრის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	გრუნტის აღწერა	წყლის გამოჩენა მ	დონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1 2 3	tQ_{IV}		3.0	3.0	423.0	ნაყარი გრუნტი: ბეტონის ფენა, ღორღის და ბეტონის ნამტვრევების ჩანართებით, შემკვრივებული.			
4 5 6	pdQ_{IV}		6.0	3.0	420.0	თიხა მუქი-ყავისფერი, ხვინჭის ჩანართებით, ნახევრადმყარი.			3.5 5.0
7 8	aQ_{IV}		8.4	2.4	418.5 417.7 417.6	ხრეში ქვიშის შემავსებლით 30%-მდე, ტენიანი 7,5 მ-დან წყალშემცველი.	8.3	7.5	6.4 8.0
9 10 11 12	P_3		12.0	3.6	414.0	ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, მონაცრისფრო-მოლურჯო, ფერის მცირე სიმტკიცის.			9.5 10.8

პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩა, №2 ნაკვ.№01.13.02.004.062

გრუნტების შედგენილობის და ფიზიკური თვისებების კვლევის ჯამური უწყისი

რიგითი №	ჭაბურღილის/შურფის №	ნიმუშის აღების ინტერვალი, მ	ფრაქციის ზომა, მმ													ტენიანობა W%		პლასტიურობა %			კონსისტენციის მაჩვენებელი, I_L	სიმკვრივე, გრ/სმ^3			ფორიანობა, n%	ფორიანობის კოეფიციენტი, e	ტენიანობის ხარისხი, Sz	შეჭიდულობა, c,კგძ/სმ2	შინაგანი ხახუნის კუთხე, f	გრუნტის დასახელება
			60-40	40-20	20-10	10-5	5-2	2-1	1-0.5	0.5-0.25	0.25-0.1	0.1-0.05	0.05-0.01	0.01-0.005	< 0.005	ბუნებრივი	შემავსებელი	ზედა ზღვარი, W_L	ქვედა ზღვარი, W_p	პლასტიურობის რიცხვი, I_p		მინერალური ნაწილაკების ρs	ბუნებრივ მდგომარეობაში, ρ	ჩონჩხის, ρ_d						
1	1	4.2														25.4		55.8	26.8	29.0	-0.05	2.74	1.85	1.48	46	0.857	0.81	0.48	17	თიხა მყარი
2	1	5.5														25.8		53.1	24.8	28.2	0.03	2.74	1.84	1.46	47	0.873	0.81	0.45	17	თიხა ნახევრადმყარი
3	2	2.8														27.8		54.1	23.5	30.7	0.14	2.74	1.87	1.46	47	0.873	0.87	0.50	17	თიხა ნახევრადმყარი
4	2	6.0														27.8		55.8	27.0	28.7	0.03	2.74	1.87	1.46	47	0.873	0.87	0.49	18	თიხა ნახევრადმყარი
5	3	3.5														27.5		52.7	25.0	27.7	0.09	2.74	1.85	1.45	47	0.888	0.85	0.50	19	თიხა ნახევრადმყარი
6	3	5.0														26.1		53.9	24.5	29.4	0.05	2.74	1.86	1.48	46	0.858	0.83	0.49	19	თიხა ნახევრადმყარი
7	1	6.8	15.5	18.9	20.1	6.4	4.4	1.8	1.9	6.0	9.1	6.8	4.4	1.2	3.5		29.8						2.01							ხრეში ქვიშით
8	1	7.8	15.0	20.1	24.0	7.5	2.0	4.6	3.9	5.5	3.4	4.1	4.2	2.7	3.0		28.5						1.98							ხრეში ქვიშით
9	2	7.0	19.5	20.0	20.2	6.2	2.6	2.3	6.5	2.8	7.4	3.4	1.1	3.7	4.3		24.9						2.00							ხრეში ქვიშით
10	2	8.2	12	20.9	21.0	11.0	4.1	4.0	2.1	6.0	4.3	5.2	2.5	1.4	5.5		28.5						1.99							ხრეში ქვიშით
11	3	6.4	16.0	20.5	19.5	7.9	4.5	3.2	6.0	6.1	3.4	3.7	3.4	2.5	3.3		23.8						2.02							ხრეში ქვიშით
12	3	8.0	12.5	20.0	22.7	7.6	2.8	4.2	4.3	5.0	5.1	4.3	2.6	2.3	6.7		27.1						1.99							ხრეში ქვიშით

შ.პ.ს. "თბილინვესტპროექტი"-ს გეოტექნიკური

ლაბორატორიის ხელმძღვანელი: მ. ბეკურაშვილი

თარიღი: 22.02.2023

გრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

ადგილმდებარეობა ქ. თბილისი, კონსტანტინე ჩაჩავას ქ. №2 ნაკნ №01.13.02.004.062	სტადია	პროექტი
	თარიღი	20.02 2023
ქანის აღწერა თიხა მუქი-ყავისფერი ნახევრადმყარი	ჭაბ/შურფის №	1
	ნიმუშის №	1
	სიღრმე მ	4.2 4.4

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

გრუნტის ფიზიკური თვისებები

ცდის პირობები	ხელსაწყოს №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკვ. მინ. ნაწ. გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზედა ზღვარი W%	პლასტ. ქვედა ზღვარი W%	პლასტიურობის რიცხვი I_P	დენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი S_r
ბუნებრივი	1	25.40	1.85	2.74	1.48	46.2	0.857	55.77	26.78	29.0	-0.05	0.81

ვერტიკალური დატვირთვა, P 0.1მპა	ძვრის ძალა, τ 0.1მპა	შიდა ხახუნის კოეფიციენტი, $tg\varphi^0$	შიგა ხახუნის კუთხე, φ0	შეჭიდულობა, C კგძ/სმ²	მდგომარეობა
1	0.78	0.300	17	0.48	ბუნებრივ
2	1.07				
3	1.38				



გრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

ადგილმდებარეობა ქ. თბილისი, კონსტანტინე ჩაჩავას ქ. №2 ნაკ №01.13.02.004.062	სტადია	პროექტი
	თარიღი	20.02 2023
ქანის აღწერა	ჭაბ/შურფის №	1
თიხა მუქი-ყავისფერი	ნიმუშის №	2
ნახევრადმყარი	სიღრმე მ	5.5 5.7

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

გრუნტის ფიზიკური თვისებები

ცდის პირობები	ხელსაწყოს №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკვ. მინ. ნაწ. გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზედა ზღვარი W%	პლასტ. ქვედა ზღვარი W%	პლასტიურობის რიცხვი I_P	დენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
ბუნებრივი	3	25.81	1.84	2.74	1.46	47	0.873	53.08	26.78	29.0	-0.03	0.81

ვერტიკალური დატვირთვა, P 0.1მპა	ძვრის ძალა, τ 0.1მპა	შიდა ხახუნის კოეფიციენტი, $tg\varphi^0$	შიგა ხახუნის კუთხე, φ^0	შეჭიდულობა, C კგძ/სმ²	მდგომარეობა
1	0.77	0.315	17	0.45	ბუნებრივი
2	1.07				
3	1.40				



გრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

ადგილმდებარეობა		
ქ. ობილისი, კონსტანტინე ნიჩავას ქ. №2	სტადია	პროექტი
ნაკ. №01.13.02.004.062	თარიღი	20.02 2023
ჭაბურღილის ადგილმდებარეობა	ჭაბურღილის №	2
თიხა მუქი-ყავისფერი	ნიმუშის №	3
ნახვრადმყარი	სიღრმე მ	1.9 2.1

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

გრუნტის ფიზიკური თვისებები

ცდის პირობები	ხელსაწყოს №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფოროვნება n%	ფოროვნების კოეფიც e	პლასტ. ზღვა ზღვარი W%	პლასტ. ქვედა ზღვარი W%	პლასტიკურობის რიცხვი I_P	დენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
ბუნებრივი	2	27.80	1.87	2.74	1.46	47	0.873	54.12	23.45	30.7	0.14	0.87

ვერტიკალური დატვირთვა, P 0.1მპა	ძვრის ძალა, τ 0.1მპა	შიდა ხახუნის კოეფიციენტი, $tg\varphi^0$	შიდა ხახუნის კუთხე, φ0	შეჭიდულობა, C მპა	მდგომარეობა
1	0.80	0.300	17	0.50	ბუნებრივი
2	1.10				
3	1.40				



გრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

ადგილმდებარეობა		
ქ. ობილისი, კონსტანტინე ნინავას ქ. №2	სტადია	პროექტი
ნაკ №01.13.02.004.062	თარიღი	20.02 2023
ჭაბის აღწერა	ჭაბ/შურფის №	2
თიხა მუქი-ყავისფერი	ნიმუშის №	4
ნახვრადმყარი	სიღრმე მ	6.00 6.2

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

გრუნტის ფიზიკური თვისებები

ცდის პირობები	ხვლისაწერის №	ბუნებრივი W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზღვა ზღვარი W%	პლასტ. ქმედ ზღვარი W%	პლასტიკურობის რიცხვი I_P	დენადობის მახასიათებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
ბუნებრივი	3	27.80	1.87	2.74	1.46	47	0.873	55.76	27.03	28.7	0.03	0.87

ვერტიკალური დატვირთვა, P 0.1მპა	ძვრის ძალა, τ 0.1მპა	შიდა ხახუნის კოეფიციენტი, $tg\varphi^0$	შიდა ხახუნის კუთხე, φ0	შეჭიდულობა, C კპა/სმ²	მდგომარეობა
1	0.82	0.330	18	0.49	ბუნებრივი
2	1.15				
3	1.48				



გრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

ადგილმდებარეობა		
ქ. ობილისი, კონსტანტინე ნაჩავას ქ. №2	სტადია	პროექტი
ნაკ №01.13.02.004.062	თარიღი	20.02 2023
ძანის აღწერა	ჭაბურღილის №	3
თიხა მუქი-ყავისფერი	ნიმუშის №	5
ნახვრადმყარი	სიღრმე მ	3.50 3.7

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

გრუნტის ფიზიკური თვისებები

ცდის პირობები	ხელსაწყოს №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკვრივე მიხ. ნაწ. გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზღვა ტენიანობა W%	პლასტ. ძირა ტენიანობა W%	პლასტიკურობის რიცხვი I_P	დენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
ბუნებრივი	2	27.50	1.85	2.74	1.45	47	0.888	52.70	24.97	27.7	0.09	0.85

ვერტიკალური დატვირთვა, P 0.1მპა	ძვრის ძალა, τ 0.1მპა	შიდა ხახუნის კოეფიციენტი, $tg\varphi^0$	შიდა ხახუნის კუთხე, φ0	შეჭიდულობა, C პა/სმ²	მდგომარეობა
1	0.85	0.340	19	0.50	ბუნებრივი
2	1.17				
3	1.53				



გრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

ადგილმდებარეობა ქ. თბილისი, კონსტანტინე ჩაჩავას ქ. №2 ნაკნ №01.13.02.004.062	სტადია	პროექტი
	თარიღი	20.02 2023
ქანის აღწერა თიხა მუქი-ყავისფერი ნახევრადმყარი	ჭაბ/შურფის №	3
	ნიმუშის №	6
	სიღრმე მ	5.0 5.2

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

გრუნტის ფიზიკური თვისებები

ცდის პირობები	ხელსაწყოს №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკ. მინ. ნაწ. გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზედა ზღვარი W%	პლასტ. ქვედა ზღვარი W%	პლასტიურობის რიცხვი I_P	დენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
ბუნებრივი	2	26.10	1.86	2.74	1.48	46	0.858	53.87	24.50	29.4	0.05	0.83

ვერტიკალური დატვირთვა, P 0.1მპა	ძვრის ძალა, τ 0.1მპა	შიდა ხახუნის კოეფიციენტი, $tg\varphi^0$	შიდა ხახუნის კუთხე, φ^0	შეჭიდულობა, C კგძ/სმ²	მდგომარეობა
1	0.84	0.350	19	0.49	ბუნებრივი
2	1.18				
3	1.54				



გრუნტის გრანულაციის შედეგები

ადგილმდებარეობა		
ქ. თბილისი, კონსტანტინე ჩაჩავას ქ. №2	ხტადია	პროექტი
ნაკვ. №01.13.02.004.062	თარიღი	20.02 2023
ძანის ადღერა	ჭაბ/შურფის №	1
ხრეში ქვიშის შემავსებლით 30%-მდე,	ნიმუშის №	1
წყალშემცველი.	სიღრმე მ	6.8 7.0

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

შემავსებლის ფიზიკური თვისებების მაჩვენებლები

ლახარისხლება	ცვლის პირობები	ხვლისწყლის №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზღვა ხლეჩი W%	პლასტ. ქვედა ხლეჩი W%	პლასტიკურობის რიცხვი I_P	ლენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
შემავს. ფიზიკა	ბუნებრივი											

გრანულაციის შედეგები და გრაფიკი

ფრაქციის ზომა	40 მმ	20 მმ	10 მმ	5 მმ	2.00	1 მმ	0.5 მმ	0.25 მმ	0.1 მმ	0.05 მმ	0.01 მმ	0.005 მმ	>0.005 მმ
პროცენტული	15.5	18.9	20.1	6.4	4.4	1.8	1.9	6.0	9.1	6.8	4.4	1.2	3.5
ჯამური	15.5	34.4	54.5	60.9	65.3	67.1	69.0	75.0	84.1	90.9	95.3	96.5	100.0
საცერში გასულ	100.0	84.5	65.6	45.5	39.1	34.7	32.9	31.0	25.0	15.9	9.1	4.7	3.5



გრუნტის გრანულაციის შედეგები

ადგილმდებარეობა ქ. თბილისი, კონსტანტინე ჩაჩავას ქ. №2 ნაკვ. №01.13.02.004.062	სტადია	პროექტი
	თარიღი	20.02 2023
ქანის აღწერა ხრეში ქვიშის შემავსებლით 30%-მდე, წყალშემცველი.	ჭაბ/შურფის №	1
	ნიმუშის №	2
	სიღრმე მ	7.8 8.0

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

შემავსებლის ფიზიკური თვისებების მაჩვენებლები

დასახელება	ცდის პირობები	ხელსაწყოს №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკვ. მინ. ნაწ. გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზედა ზღვარი W%	პლასტ. ქვედა ზღვარი W%	პლასტიურობის რიცხვი I_P	დენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
შემავს. ფიზიკა	ბუნებრივი												

გრანულაციის შედეგები და გრაფიკი

ფრაქციის ზომა	40 მმ	20 მმ	10 მმ	5 მმ	2.00	1 მმ	0.5 მმ	0.25 მმ	0.1 მმ	0.05 მმ	0.01 მმ	0.005 მმ	>0.005 მმ
პროცენტული	15.0	20.1	24.0	7.5	2.0	4.6	3.9	5.5	3.4	4.1	4.2	2.7	3.0
ჯამური	15.0	35.1	59.1	66.6	68.6	73.2	77.1	82.6	86.0	90.1	94.3	97.0	100.0
საცერში გასული	100.0	85.0	64.9	40.9	33.4	31.4	26.8	22.9	17.4	14.0	9.9	5.7	3.0



გრუნტის გრანულაციის შედეგები

ადგილმდებარეობა		
ქ. ობილისი, კონსტანტინე ნაჩავას ქ. №2	სტადია	პროექტი
ნაკვ. №01.13.02.004.062	თარიღი	20.02 2023
ძანის ადგილა	ჭაბ/შურფის №	2
ხრეში ქვიშის შემავსებლით 30%-მდე,	ნიმუშის №	3
წყალშემცველი.	სიღრმე მ	7.0 7.2

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

შემავსებლის ფიზიკური თვისებების მაჩვენებლები

დასახელება	ცვლის პირობები	ხელსაწყოს №	ტენიანობა W%	სიმკვრივე g/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის g/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზღვა Wp%	პლასტ. ქვედა ზღვარი W%	პლასტიკურობის რიცხვი I_P	დენადობის მახასიათებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
შემავს. ფიზიკა	ბუნებრივი											

გრანულაციის შედეგები და გრაფიკი

ფრაქციის ზომა	40 მმ	20 მმ	10 მმ	5 მმ	2.00	1 მმ	0.5 მმ	0.25 მმ	0.1 მმ	0.05 მმ	0.01 მმ	0.005 მმ	>0.005 მმ
პროცენტული	19.5	20.0	20.2	6.2	2.6	2.3	6.5	2.8	7.4	3.4	1.1	3.7	4.3
ჯამური	19.5	39.5	59.7	65.9	68.5	70.8	77.3	80.1	87.5	90.9	92.0	95.7	100.0
საცერში გასული	100.0	80.5	60.5	40.3	34.1	31.5	29.2	22.7	19.9	12.5	9.1	8.0	4.3



ბრუნტის ბრანულაციის შედეგები

ადგილმდებარეობა		
ქ. თბილისი, კონსტანტინე ნაჩავას ქ. №2	სტადია	პროექტი
ნაკვ. №01.13.02.004.062	თარიღი	20.02 2023
ძანის ადგილა	ჭაბ/შურფის №	2
ხრეში ქვიშის შემავსებლით 30%-მდე,	ნიმუშის №	4
წყალშემცველი.	სიღრმე მ	8.2 8.4

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

შემავსებლის ფიზიკური თვისებების მაჩვენებლები

დასახელება	ცვლის პირობები	ხვლისაწყის №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკვრ. მინ. ნაწ. გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზღვა ზღვარი W%	პლასტ. ქნადობა ზღვარი W%	პლასტიკურობის რიცხვი I_P	ლენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
შემავს. ფიზიკა	ბუნებრივი												

ბრანულაციის შედეგები და ბრაშიკი

ფრაქციის ზომა	40 მმ	20 მმ	10 მმ	5 მმ	2.00	1 მმ	0.5 მმ	0.25 მმ	0.1 მმ	0.05 მმ	0.01 მმ	0.005 მმ	>0.005 მმ
პროცენტული	12.0	20.9	21.0	11.0	4.1	4.0	2.1	6.0	4.3	5.2	2.5	1.4	5.5
ჯამური	12.0	32.9	53.9	64.9	69.0	73.0	75.1	81.1	85.4	90.6	93.1	94.5	100.0
საცერში გასული	100.0	88.0	67.1	46.1	35.1	31.0	27.0	24.9	18.9	14.6	9.4	6.9	5.5



გრუნტის გრანულაციის შედეგები

ადგილმდებარეობა		
ქ. თბილისი, კონსტანტინე ჩაჩავას ქ. №2	სტადია	პროექტი
ნაკვ. №01.13.02.004.062	თარიღი	20.02 2023
ქანის აღწერა	ჭაბ/შურფის №	3
ხრეში ქვიშის შემავსებლით 30%-მდე,	ნიმუშის №	5
წყალშემცველი.	სიღრმე მ	6.4 6.6

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

შემავსებლის ფიზიკური თვისებების მაჩვენებლები

დასახელება	ცდის პირობები	ხელსაწყოს №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკვ. მინ. ნაწ. გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზედა ზღვარი W%	პლასტ. ქვედა ზღვარი W%	პლასტიურობის რიცხვი I_P	დენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
შემავს. ფიზიკა	ბუნებრივი												

გრანულაციის შედეგები და გრაფიკი

ფრაქციის ზომა	40 მმ	20 მმ	10 მმ	5 მმ	2.00	1 მმ	0.5 მმ	0.25 მმ	0.1 მმ	0.05 მმ	0.01 მმ	0.005 მმ	>0.005 მმ
პროცენტული	16.0	20.5	19.5	7.9	4.5	3.2	6.0	6.1	3.4	3.7	3.4	2.5	3.3
ჯამური	16.0	36.5	56.0	63.9	68.4	71.6	77.6	83.7	87.1	90.8	94.2	96.7	100.0
საცერში გასული	100.0	84.0	63.5	44.0	36.1	31.6	28.4	22.4	16.3	12.9	9.2	5.8	3.3



გრუნტის გრანულაციის შედეგები

ადგილმდებარეობა	სტადია	პროექტი
ქ. თბილისი, კონსტანტინე ჩახავას ქ. №2	თარიღი	20.02 2023
ნაკვ. №01.13.02.004.062	ჭაბ/შურფის №	3
ძანის ადწერა	ნიმუშის №	6
ხრეში ქვიშის შემავსებლით 30%-მდე, წყალშემცველი.	სიღრმე მ	6.4 6.6

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

ლითოლოგია	ცვლის პირობები	ნიმუშის №	ტენიანობა W%	სიმკვრივე g/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის g/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზღვა W%	პლასტ. ქვედა ზღვარი W%	პლასტურობის რიცხვი I_P	დენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
